



## საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების მონიტორინგის ანგარიში

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ” (ISFED) განახორციელა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებულ, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ორგანიზაცია აცხადებს, რომ საარჩევნო მოხელეთა სერთიფიცირებამ ზოგადად მშვიდ გარემოში ჩაიარა, თუმცა სერთიფიცირების პროცესის ორგანიზებისას და განხორციელებისას დათქმინდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი.

### მოსამზადებელი პერიოდი

2008 წლის 19 თებერვალს, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაცხადა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირება. შესაბამისად, იმავე დღეს დაიწყო სერთიფიკატის მსურველთა საბუთების მიღება, რომელიც გაგრძელდა 2008 წლის 29 თებერვლის ჩათვლით. საბუთების მიღება მიმდინარეობდა როგორც ცენტრალურ, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებში. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიდა სულ 4897 აპლიკანტის განაცხადი, რომელთაგან 1910 განაცხადი შევიდა თბილისში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო 2987 განაცხადი - საოლქო საარჩევნო კომისიებში საქართველოს მასშტაბით.

ცენტრალური საარჩევნო კომისია სერთიფიცირების მოსამზადებელ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთან: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ახალი თაობა - ახალი ინიციატივა (NGI) და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). ცესკო-მ გაითვალისწინა აღნიშნული ორგანიზაციების მიერ 2007 წლის შემოდგომის სერთიფიცირების დროს გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ნაწილი, კერძოდ კი მოსამზადებელ პერიოდში სპეციალურ სარეკლამო რგოლის მეშვეობით უზრუნველყო სერთიფიცირების შესახებ საზოგადოების ფართოდ ინფორმირება.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოცდის ტესტები წინასწარ შეათანხმა დამკვირვებელ ორგანიზაციებთან. ასევე, რეკომენდაციების



## სამართლიანი არჩევნები

მესაბამისად ცესკო-მ სერთიფიცირებისათვის საბუთების მიღება განახორციელა როგორც ცენტრალურ, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე.

მოსამზადებელ პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის 22 თებერვალს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ # 62 დადგენილებით დაამტკიცა საპრეტენზიო კომისია, რომელიც დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით: ლალი ლაზარაშვილი, რომან შენგელია, გიორგი ბარელაძე, გოჩა მამულაშვილი და დავით დოიჯაშვილი.

სერთიფიცირებამდე 5 დღით ადრე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აკრედიტაციაში გაატარა 4 ადგილობრივი ორგანიზაციის დამკვირვებლები: ახალი თაობა - ახალი ინიციატივა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ევროპასთან თანამშრომლობის საზოგადოება და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება. დამკვირვებლებს, სერთიფიცირებამდე ორი დღით ადრე ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგი სერთიფიცირების მიმდინარეობის დროს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააუმჯობესა ბევრი მნიშვნელოვანი პროცედურა, მოსამზადებელ პერიოდში მაინც დაფიქსირდა გარკვეული სახის ხარვეზები, კერძოდ: საბუთების მიღების დროს, როგორც ცენტრალურ ისე საოლქო საარჩევნო კომისიებს დააკლდათ სახელმძღვანელოები და აპლიკანტთა ნაწილი გარკვეული დროის მანძილზე ტესტების წიგნების გარეშე დარჩა. მოგვიანებით ცესკო-მ დაბეჭდა დამატებითი სახელმძღვანელოები, რომელთა მისაღებად გამოსაცდელები მომდევნო დღეებში დაიბარეს. ამასთან, დაფიქსირდა შემთხვევები როდესაც ორ აპლიკანტს აძლევდნენ მხოლოდ ერთ სახელმძღვანელოს (მაგალითად ბათუმის საარჩევნო ოლქში).

### სერთიფიცირების პროცესის მიმდინარეობა

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების ტესტური გამოცდები მიმდინარეობდა 8 დღის განმავლობაში (8,9,10,12,13,15,16,17 მარტი, 2008), დღეში ორჯერ 9:00 და 17:00 საათებზე. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ 12 აკრედიტირებული დამკვირვებლის მეშვეობით დააკვირდა სერთიფიცირების მიმდინარეობის პროცესს.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge  
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



## სამართლიანი არჩევნები

დამკვირვებელთა მონაცემებით გამოსაცდელთა რეგისტრაცია წარიმართა დადგენილი წესით და ადგილი არ ქონია დადგენილებით გათვალისწინებული პროცედურების რაიმე სახის დარღვევას. დადგენილი წესით წარიმართა გამოსაცდელთა მიერ ტესტების სხვადასხვა ვარიანტის მიღებისა და ცესკო-ს თანამშრომელთა მიერ გამოსაცდელთა შესაბამისად (წინასწარ განსაზღვრული ნუმერაციის მიხედვით) განთავსების პროცესი.

გამკვირვებლობის მიზნით, კითხვების შერჩევა და ამობეჭდვა მოხდა საგამოცდო დარბაზში, გამოცდის დაწყების წინ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში დათქმირდა ტექნიკური სახის პრობლემა, კერძოდ ტესტების ამობეჭდვის დროს მწყობრიდან გამოვიდა ამოსაბეჭდი მანქანა, რამაც გარკვეული დროით შეათერხა გამოცდის დაწყება (კერძოდ, C ვარიანტის კითხვები დროულად ვერ დაურიგდა გამოსაცდელებს). ამასთან, ტესტის რამოდენიმე ვარიანტი არ იყო სრულყოფილად გადამრავლებული (ტესტებს აკლდა ბოლო 6 კითხვა). სასურველია, რომ მსგავსი სახის ფაქტორები წინასწარ იქნას გათვალისწინებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

აქვე, აღსანიშნავია, რომ გამოცდის დაწყების წინ რიგ შემთხვევებში გამოსაცდელებს არ მიეწოდათ სრულყოფილი ინფორმაცია საგამოცდო ინსტრუქციის შესახებ. შედეგად, აპლიკანტთა გარკვეულმა ნაწილმა ვერ გაიგო სამუშაო და საგამოცდო ფურცლების ზუსტი დანიშნულება (კერძოდ, სად უნდა ემუშავათ და შემდგომში როგორ ან სად უნდა გადაეტანათ სწორი პასუხები).

გამოცდის დაწყების შემდეგ მუშაობის პროცესი საკმაოდ მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. პროცესს აკვირდებოდნენ როგორც ცესკო-ს სამდივნოს თანამშრომლები, ასევე აკრედიტირებული დამკვირვებლები. გამოცდის მსვლელობისას რამოდენიმეჯერ დათქმირდა გადაჩერისა და კარნახის (გამოსაცდელებს შორის) მცდელობა, რომელიც იმთავითვე აღმოიფხვრა. გამოსაცდელები რომლებიც ცდილობდნენ პასუხების გადაჩერას, დაუყოვნებლივ მოხსნილ იქნენ გამოცდიდან. სულ სერთიფიცირების მიმდინარეობისას დისკვალიფიცირებული იქნა 17 გამოსაცდელი.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები დაესწრნენ ნაშრომების შენახვისა და დალუქვის პროცესს. ნაშრომები ვარიანტების მიხედვით მოთავსდა ცალცალკე კონვერტებში, შემდეგ სპეციალურ პოლიეთილენის პარკში და დაილუქა. დალუქული ყუთები დამოწმდა ხელმოწერებით (როგორც ცესკო-ს სამდივნოს წევრების, ასევე დამკვირვებლების მიერ), თუმცა რიგ შემთხვევებში არ დამოწმდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბეჭდით. დამოწმებული ყუთები გადაიგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესამოწმებლად. „სამართლიანი



## სამართლიანი არჩევნები

არჩევნების“ აკრედიტირებული დამკვირვებლები ასევე დაესწრნენ ნაპრომების გახსნისა და სკანინების პროცესს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, სერთიფიცირების გამოცდებზე გამოცხადდა სულ 3089 გამოსაცდელი, რომელთაგან სერთიფიცირების მისაღებად საჭირო რაოდენობის ქულები დააგროვა 1455 აპლიკანტმა, რაც შეადგენს აპლიკანტთა საერთო რაოდენობის 47,1%.

ტესტირების დღეებში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები ორგანიზაციულ საკითხებთან მიმართებაში:

- სერთიფიცირების პროცესში ნათლად დადასტურდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სახელმძღვანელოს პრობლემა. სახელმძღვანელო იყო დასახვეწი და არასრულყოფილი, კერძოდ: ერთსა და იმავე ტესტში მეორდებოდა სწორი პასუხები, რაც დაბნეულობას იწვევდა გამოსაცდელთა შორის; წიგნები არ იყო აკინძული სათანადოდ; ზოგიერთი შეკითხვა არ იყო დანომრილი და ა.შ.
- აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბევრ შემთხვევაში გამოსაცდელთა ვერ აიღეს რეალურად დაგროვილ ქულათა რაოდენობა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ შეცდომით გადაეცათ პასუხების ფურცლის ვარიანტები. ეს ადასტურებს არა მხოლოდ გამოსაცდელთა, არამედ სამდივნოს თანამშრომლების უყურადღებობის ფაქტს. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ საპრეტენზიო კომისიამ უფლება მისცა საგამოცდო კომისიას თავიდან შეეთასებინათ მსგავსი ნამუშევრები;
- ხშირად ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემები არ შეესაბამებოდა გამოსაცდელთა მიერ მიღებულ ქულათა რეალურ რაოდენობას. პრობლემატური იყო ასევე ტესტირების შედეგების ვებ-გვერდზე დროულად განთავსების საკითხიც. სასურველია, ცესკო-ს ვებ-გვერდის განახლება უფრო ოპერატიულ რეჟიმში ხდებოდეს;
- დასახვეწი და არასრულყოფილი იყო ტესტირების დღეს დარიგებული ინსტრუქცია, რომელიც ასევე შეიცავდა არაადეკვატურ და დაუსაბუთებელ წესებს;
- სერთიფიცირების პერიოდში იკვეთებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა დაინტერესება გარკვეული აპლიკანტების მიმართ.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ მიიჩნევს, რომ სერთიფიცირება განხორციელდა არასასურველ პერიოდში, კერძოდ მაშინ როდესაც მიმდინარეობდა ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში. აღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლოა გამოიწვიოს



## სამართლიანი არჩევნები

სერთიფიცირებულ აპლიკანტთა არაკომპეტენტურობა (რიგ საკითხებში) მორიგი საპარლამენტო არჩევნებისთვის. გარდა ამისა, „სამართლიანი არჩევნები“ კვლავ მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტმა უნდა გადახედოს სერთიფიცირების განმახორციელებელი ორგანოს საკითხს. გამოცდების უფრო გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად ჩატარების თვალსაზრისით, გაცილებით უკეთესი იქნება თუ სერთიფიცირებას ჩაატარებს რომელიმე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ორგანო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირება აქამდე ჩატარებულ სერთიფიცირებებთან შედარებით საკმაოდ დადებითად წარიმართა. „სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება იმ ფაქტს, რომ გათვალისწინებულ იქნა წინა სერთიფიცირების დროს ჩვენი და სხვა ადგილობრივი სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ნაწილი. თუმცა, აქვე მოუწოდებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გაითვალისწინოს ის ხარვეზები, რომლებიც კვლავ დათუქსირდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების ორგანიზებისას და განხორციელებისას.

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი  
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98  
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)